№ 20190908/12

ქ. თბილისი

11.09.2019

სამტრედიის რაიონული სასამართლოს

თავმჯდომარეს ბატონ ლევან მეშველიანს

ბრალდებულების გ. ნ-ს

და ა. თ-ს მიმართ

სისხლის სამართლის №---------- საქმეზე,

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI)

მის: ქ.თბილისი, გივი კარტოზიას №10, ოთახი 185

ტელეფონი: +995 595 062 411

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

(წარდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად)

ბატონო ლევან,

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს (DRI) 2019 წლის 2 აგვისტოს იურიდიული კონსულტაციის გაწევის თხოვნით მომართეს სისხლის სამართლის №---------- საქმეზე დაზარალებულად ცნობილმა ქ.კ-მ და ერაყის მოქალაქემ ბ.ჯ.მ. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტისათვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს სამტრედიის რაიონული სასამართლო, რის გამოც, მივიღეთ აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრების წარდგენის გადაწყვეტილება. საქმეზე ბრალდებულ პირებს წარმოადგენენ გ.ნ და ა.თ, რომელთაც სამტრედიის რაიონული პროკურატურის მიერ წარედგინათ ბრალდება საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1[1] ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI) აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრების (Amicus Curiae) წარდგენით ხაზს უსვავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სრულყოფილად გამოძიებისა და პირის ქმედებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მნიშვნელობას.

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

2019 წლის 1-ელ აგვისტოს, დილის საათებში, ქ.კ, თავის მეუღლესთან - ბ.ჯ.მ-სთან ერთად სამტრედიაში აღმაშენებლის გამზირი №361-ში, მდებარე ქუჩის გადაკვეთისას, გადაჭარბებული სიჩქარით ჩაურა ავტომობილმა, რომელშიც ისხდნენ ბრალდებულები და მათთან ერთად - დაზარალებულებისათვის უცნობი სასულიერო პირი. მას შემდეგ რაც დაზარალებულებმა გამოხატეს სიტყვიერი უკმაყოფილება გადაჭარბებული სიჩქარის გამო, ავტომობილიდან გადმოვიდნენ ბრალდებულები გ. ნ და ა.თ, რომელთაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ქ.კ-ს. აღნიშნულის გაგონებზე, ქ.კ-ს მეუღლემ ბ.ჯ.მ-მ მიმართა ბრალდებულებს და სთხოვა ნუ ელაპარაკებოდნენ მის მეუღლეს ამგვარი ფორმით. აღნიშნულზე, ერთ-ერთი ბრალდებული მიუახლოვდა მას და ცხვირის არეში ძლიერად ჩაარტყა თავი, რასაც მოჰყვა ავტომობილში მსხდომი სამი პირის მიერ, დაზარალებულების მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მითითებული ქმედების შედეგად ქ.კ-მ და ბ.ჯ.მ-მ განიცადეს ძლიერი ფიზიკური ტკივილი.

დაზარალებული ქ.კ-ს განმარტებით, (რაც ასევე ასახულია მოწმის თავდაპირველი გამოკითხვის ოქმში) მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების დროს, ბრალდებულების მიერ გამოყენებულ იქნა მისი მეუღლის სავარაუდო წარმომავლობისა და რელიგიის შეურაცხმყოფელი ტერმინები. კერძოდ, სახის არეში თავის ჩარტყმამდე, ერთ-ერთმა ბრალდებულმა მიმართა მის მეუღლეს ტერმინით **„შე სომეხო მუსულმანო"** ხოლო, მეორე ბრალდებულმა დაპირისპირების პროცესში მოსთხოვა ქ.კ-ს **„წაეყვანა თავისი მუსულმანი ქმარი და საერთოდ წასულიყო საქართველოდან."**

აღნიშნულ საქმეზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა ბრალდებული ა.თ და გ.ნ, თუმცა, დაზარალებულის ხელთ არსებული ინფორმაციით, არ არის მიკვლეული და გამოკითხული ის სასულიერო პირი, რომელიც მონაწილეობდა თავდასხმაში. დაკავებულ პირებს სამტრედიის რაიონული პროკურატურის მიერ ბრალი წარედგინათ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1[1] ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ისე რომ ქმედების კვალიფიკაციაში არ ასახულა სავარაუდო სიძულვილის მოტივი.

2. სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.'' დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI) წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრებისა და ტოლერანტი და თანასწორი საზოგადოების განვითარებისათვის ხელშეწყობის საკითხებზე, სამართლებრივი დახმარების, მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით. მიმდინარე ეტაპზე ორგანიზაცია ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერით ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტს ,,ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში.'' პროექტის ფარგლებში, ორგანიზაცია ახორციელებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერას სამართლებრივი კონსულტაციის და მათი უფლებების დაცვის გზით. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ახორციელებდა სავარაუდოდ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ულტრამემარჯვენე რადიკალური იდეოლოგიის მატარებელი ჯგუფების შეკრებების მონიტორინგს, გაკეთებული აქვს სამართლებრივი შეფასებები სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით. ამდენად, ორგანიზაციას აქვს საკმარისი გამოცდილება და თეორიული ცოდნა, რაც აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მის შეფასებებს ღირებულს ხდის.

3. სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებული საკანონმდებლო სტანდარტები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად, ,,ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.''

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური

ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.'' ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მეორე ნაწილით დასჯადია ,,ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით.''

ამრიგად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს პირის რელიგიის, ეთნიკური კუთვნილებისა და მოქალაქეობის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულს. ამგვარი მიდგომა პირდაპირ კავშირშია საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ აქვს ნამსჯელი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებებზე მიკერძოების მოტივებით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებით განსაკუთრებულ სტანდარტს აწესებენ ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი (ICCPR) და კონვენცია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD).

> საქმეში **ნაჩოვა ბულგარეთის წინააღმდეგ,** ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ იმისათვის, რომ სიცოცხლის უფლება (მუხლი 2) და არასათანადო მოპყრობისგან თავისუფლების უფლება (მუხლი 3) რეალურად სრულდებოდეს, სახელმწიფოებს აქვთ „პოზიტიური ვალდებულება" ჩაატარონ ამ უფლებების ხელმყოფი დანაშაულების ეფექტური გამოძიება.[1] აქ ასევე იგულისხმება სახელმწიფოს ვალდებულება ჩაატაროს ოფიციალური გამოძიება, რომელიც გონივრულად სწრაფი უნდა იყოს.
>
> ასევე, საქმეში **ანგელოვა და ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ**[2] სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, სახელმწიფოს არ მოეთხოვება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ცალკე დანაშაულად აღიარება, მაგრამ მის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას უნდა

[1] Nachova and Others v. Bulgaria, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება (დიდი პალატა), 6 ივლისი 2005წ.

[2] Angelova and Iliev v Bulgaria, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება, 26 ივლისი 2007წ.

ჰქონდეს რასისტულად მოტივირებული დანაშაულების გამოვლენის, აღიარების და სათანადოდ დასჯის უნარი.

საქმეში **მილანოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ** სასამართლომ რასისტული მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული პრინციპები გაავრცელა ანტირელიგიური მიკერძოებით ჩადენილ დანაშაულებზე.[3] სასამართლომ დაადგინა სახელმწიფომ მიერ მე-3 მუხლის პროცესუალური ნაწილის (არასათანადო მოპყრობის პრევენცია) დარღვევა მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი) ერთობლიობაში, რადგან სახელმწიფომ არ ჩაატარა ამ დანაშაულების რელიგიური მიკერძოების მოტივის ეფექტური და სწრაფი გამოძიება.

ამგვარად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სწრაფი და ეფექტური გამოძიების გარდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს გამოკვეთოს დანაშაულის ჩადენისას არსებული მიკერძოების მოტივი იმ საქმეებში, სადაც ასეთი მოტივის არსებობა აშკარაა.

4. **სამართლებრივი შეფასება.**

სისხლის სამართლის საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით იკვეთება ორი საკითხი, რომელიც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მოსაზრებით ხაზგასმას საჭიროებს.

უპირველეს ყოვლისა, გამოძიებას არ გამოუკითხავს კონფლიქტში მონაწილე მესამე პირი, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულები იცნობენ მას და შემთხვევის დროს გადაადგილდებოდნენ ერთი ავტომობილით. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება არ არის დასრულებული.

ასევე, გამოსაკვეთია შეუწყნარებლობის მოტივი, რომელიც იყო ბრალდებულების მიერ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი განმაპირობებელი. დაზარალებული ქ.კ განმარტავს, რომ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებამდე, ერთ-ერთმა ბრალდებულმა მიმართა მის მეუღლეს ტერმინით **„შე სომეხო მუსულმანო"** ხოლო, მეორე ბრალდებულმა ჩხუბის პროცესში მოსთხოვა ქ.კ-ს **„წაეყვანა თავისი მუსულმანი ქმარი და საერთოდ წასულიყო საქართველოდან."**

ბრალდებულების მიერ გამოყენებული შეძახილები ნათლად მიუთითებს დაზარალებული ბ.ჯ.მ-ს რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის შეუწყნარებლობისაკენ.

3 Milanovic v. Serbia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება, 14 დეკემბერი 2010წ.

> საქმეში **ბალაში უნგრეთის წინააღმდეგ** სასამართლომ აღნიშნა, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებად არა მხოლოდ ის შემთხვევები უნდა დაკვალიფიცირდეს, როდესაც დამნაშავის ქმედებას საფუძვლად ედო მხოლოდ დაზარალებულის ესა თუ ის ნიშანი, არამედ როდესაც დამნაშავეს შერეული მოტივი ჰქონდა.[4]

შესაბამისად, იმისათვის რომ ქმედება ჩაითვალოს შეუწყნარებლობით მოტივირებულად, არ არის აუცილებელი, საქმეში არსებული შეუწყნარებლობის მოტივი იყოს ერთადერთი და შესაძლებელია დანაშაულის ჩადენა შეუწყნარებლობის მოტივთან ერთად სხვა გარემოებებითაც იყოს განპირობებული. ზემოაღნიშნული შეძახილები ნათლად მიუთითებენ, რომ ბრალდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება სხვა მოტივებთან ერთად ასევე განპირობებულია დაზარალებულის **(სავარაუდო)** ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებით, რამაც გამოიწვია ბრალდებულების იმაზე მკაცრი რეაგირება, ვიდრე ამგვარ შემთხვევებში იყო მოსალოდნელი.

ასევე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრალდებულების მიერ გამოყენებული ტერმინების შეუთავსებლობა (სტატისტიკურად ეთნიკური სომხების უმრავლესობა არ წარმოადგენენ მუსულმანებს) არათუ გამორიცხავს შეუწყნარებლობის მოტივის არსებობას დანაშაულში, არამედ ნათელს ხდის ბრალდებულების მიკერძოებას დაზარალებულის რელიგიისა და სავარაუდო ეთნიკური წარმომავლობის გამო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა მკაცრდება, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას შეუწყნარებლობის მოტივის არსებობაზე, იმისდა მიუხედავად ეკუთვნის თუ არა დაზარალებული დანაშაულის ჩამდენის მიერ აღქმულ უმცირესობათა ჯგუფს. აღნიშნული პოზიცია სრულად ემთხვევა ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის თანახმადაც, ,,თუ კანონი არ პირდაპირ არ ითხოვს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შედეგად დაზარალებული იყოს უმცირესობების წარმომადგენელი, საკმარისია მხოლოდ მიკერძოების (შეუწყნარებლობის) მოტივის არსებობა.[5]

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულების მიერ, მათთვის უცნობი პირის მიმართ გამოყენებული არაპროპორციული და სასტიკი ძალადობის ფორმა, კონფლიქტის პროცესში და მის შემდეგ გამოყენებულ ტერმინებთან ერთად, ხაზგასმა, რომ ბრალდებულებმა პირის განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობიდან და

[4] Balazs v. Hungary, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება, 20 ოქტომბერი 2015წ.
[5] OSCE Prosecuting hate crimes. A practical guide, გვ. 34-35, იხ: https://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true

რელიგიიდან გამომდინარე ვერ აიტანეს შეურაცხმყოფელი ტონით საუბარი, ასევე ცალსახად მიუთითებს შეუწყნარებლობის მოტივის არსებობაზე.[6]

5. დასკვნა

ზემოთაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ვინაიდან სახელმწიფოს ვალდებულებაა სამართლიანი, ობიექტური და დასაბუთებული შეფასება მისცეს შესაძლო დამნაშავე პირის მიერ განხორციელებულ ქმედებას, გამოკვეთოს შესაძლო დისკრიმინაციული მოტივი და საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გაიაზროს აღნიშნული საქმის მნიშვნელობა საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვისთვის. სახელმწიფო ვალდებულია აღმოფხვრას დაუსჯელობის ატმოსფერო, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს განსხვავებული რელიგიური კუთვნილებისა და ეთნიკური წარმომავლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკებისა და ძალადობის შემცირებას ქვეყანაში. ასევე აღსანიშნავია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ წევრი ქვეყნებისათვის დაწესებული სტანდარტი ძალადობრივი ინციდენტების გამოძიებისას „მიიღონ ყველა გონივრული ზომა რასისტული მოტივის გამოსააშკარავებლად და იმის დასადგენად, ხომ არ ითამაშა რაიმე როლი ეთნიკურმა ზიზღმა ან წინასწარ შექმნილმა აზრმა ამ მოვლენების განვითარებაში.''[7]

განხილული ფაქტობრივი გარემოებებიდან და სამართლებრივი სტანდარტიდან გამომდინარე:

- მოგმართავთ წინადადებით სასამართლომ იმსჯელოს საქმეში დაზარალებულის რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის შეუწყნარებლობის მოტივის არსებობაზე და აღნიშნული გარემოების დადასტურების შემთხვევაში, გამოიყენოს საქართველოს სსკ-ის 53[1] მუხლი, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

[6] იქვე, გვ.45
[7] Secic v. Croatia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება, 31 მაისი 2007წ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოგმართოთ სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით. აქვე გაცნობებთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი უჩა ნანუაშვილი

0177, თბილისი, გივი კარტოზიას 10, ოთახი 185
10, Givi Kartozia St., Room 185, Tbilisi, 0177, Georgia
Tel.: +995 032 2 22 09 07
info@democracyresearch.org
www.democracyresearch.org